+

პ რ ო ე ქ ტ ი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №_____

2026 წლის _____ თებერვალი

ქ. წყალტუბო

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბო არენა“-ს მიერ 2025 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ა(ა)იპ „წყალტუბო არენა“-ს ანგარიში 2025 წელს გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის).

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25–ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ა(ა)იპ „წყალტუბო არენა“-ს ანგარიში 2025 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.
2. ა(ა)იპ „წყალტუბო არენა“ -ს მიერ 2025 წელს გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა

მესამე რანგის პირველი კატეგორიის

უფროსი სპეციალისტის მ/შ: მაია უგლავა

შეთანხმებულია:

მეორადი სტრუქტურული ერთეულის

ხელმძღვანელი: მაია ზერაძე

აპარატის უფროსი: გელა თათარაშვილი

კომისიის თავმჯდომარე: ლევან ჩანქსელიანი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი
არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
„წყალტუბო არენა"

წერილის ნომერი: **35-482604064**
თარიღი: **09/02/2026**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ. N27

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

წარმოგიდგენთ ა(ა)იპ „წყალტუბო არენას" ანგარიშს 2025 წლის გაწეული მუშაობის შესახებ .

დანართი 6 ფურცელზე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

პაატა ბუჭუხიშვილი

წყალტუბო არენა-დირექტორი

ა(ა)იპ „წყალტუბო არენას“

ანგარიში 2025 წლის გაწეული მუშაობის შესახებ.

„წყალტუბო არენას“ საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და მიზნებია:

ა) ქალაქ წყალტუბოში, 26 მაისის ქუჩაზე მდებარე საფეხბურთო სტადიონების (ცენტრალური და სათადარიგო) ინფრასტრუქტურის მოწყობა, მოვლა–პატრონობა.

ბ) ქალაქ წყალტუბოში, 26 მაისის ქუჩაზე მდებარე საფეხბურთო სტადიონებზე (ცენტრალური და სათადარიგო, საფეხბურთო ცენტრი, ბუნებრივსაფარიანი მინი სტადიონი) შპს „საფეხბურთო კლუბი წყალტუბოს სამგურალის“ ძირითადი გუნდის, დუბლების შემადგენლობისა და სხვადასხვა ასაკობრივი გუნდებისათვის ეროვნული ჩემპიონატების შესაბამის ლიგაში ჩემპიონატის თამაშებისა და ვარჯიშების ჩატარების შეუზღუდავად უზრუნველყოფა.

გ) წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება და მისი პროპაგანდა, ქართული ფეხბურთის პოპულარიზაცია და საფეხბურთო ტრადიციების აღდგენა-განვითარება.

დ) სპორტული ღონისძიებებისა და სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებისა და ჩემპიონატებისათვის სტადიონისა და ინფრასტრუქტურის მომზადება.

ე) სპორტის საყოველთაობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

ა(ა)იპ წყალტუბო არენას 2025 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 15 იანვრის № ბ48.48250152 ბრძანებით ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 718 000 ლარით აღნიშნულ პერიოდში განხორციელდდა ცვლილებები, კერძოდ ბიუჯეტი გაიზარდა 87 500 ლარით და გახდა 805 500 ლარი.

ა(ა)იპ „წყალტუბო არენას საშტატო ნუსხა და ხართაღრიცხვა იშიფრება შემდეგნაირად:

საშტატო ნუსხა - 29 კაცი. (ფაქტიურად დასაქმებულია 29 კაცი. აქედან 5 ქალია და 24 კაცი

1. ადმინისტრაციის ხელფასი გეგმით - 307408 ლარი ფაქტიურად 304825 ლარი.

2. ჯილდო პრემია გეგმით 20952 ლარი ფაქტიურად 20952 ლარი.

3. მივლინება ქვეყნის შიგნით გეგმით 1 500 ლარი ფაქტიურად 1030 ლარი.

4. საკანცელარიო გეგმით - 655ლარი ფაქტიურად 655 ლარი.

5. ტელევიზორი გეგმით - 440 ლარი ფაქტიურად 440 ლარი

6. სხვა მცირე ფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენასა და დამონტაჟებასთან დაკავშირებული ხარჯი გეგმით - 3 575 ლარი ფაქტიურად 3 570 ლარი.

7. საოფისე ავეჯი გეგმით - 188 ლარი ფაქტიურად 188 ლარი.

8. სხვა საოფისე მცირე ფასიანი ინვენტარის შეძენასა და დამონტაჟებასთან დაკავშირებული ხარჯი გეგმით - 1500 ლარი ფაქტიურად 1270 ლარი.

9. რეცხვა,ქიმწმენდის და სანიტარული საგნების შეძენის ხარჯი გეგმით - 1500 ლარი ფაქტიურად 1500 ლარი.

10. შენობა ნაგებობა მიმდინარე რემონტის ხარჯი გეგმით - 21 000 ლარი ფაქტიურად 10572.5 ლარი.

11. საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა დანადგარების მოვლა-შენახვის, ექსპლოატაციისა და მიმდინარე რემონტის ხარჯი გეგმით - 12 000 ლარი ფაქტიურად 10 635 ლარი.

12. ფიჭური კავშირგაბმულობის ხარჯი გეგმით 4 710 ლარი ფაქტიურად 4 710 ლარი.

13. ელექტრო ენერგიის ხარჯი გეგმით - 6 421ლარი ფაქტიურად 6 370 ლარი.

14. წყლის ხარჯი გეგმით - 6 000 ლარი ფაქტიურად 3777.25 ლარი.

15. ბუნებრივი და თხევადი აირის ხარჯი გეგმით - 5 000 ლარი ფაქტიურად 1 514 ლარი.

16. სამედიცინო ხარჯი გეგმით - 157 ლარი ფაქტიურად 157 ლარი.

17. რბილი ინვენტარის,უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯი გეგმით - 10 500 ლარი ფაქტიურად 10 500 ლარი.

18. საწვავ/საპოხი მასალების შეძენის ხარჯი გეგმით - 11 000 ლარი ფაქტიურად 10 373 ლარი.

19. ტრანსპორტის დაქირავების ხარჯი გეგმით - 9 950 ლარი ფაქტიურად 8869 ლარი.

20. კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი გეგმით - 450 ლარი ფაქტიურად 450 ლარი

21. შხამქიმიკატების ხარჯი გეგმით - 9 950 ლარი ფაქტიურად 9 114 ლარი.

22. მინდვრის ბალახის ხარჯი(თესლი) გეგმით 9 912 ლარი ფაქტიურად 9 912ლარი.

23. მინდვრის სილა გეგმით - 9 950 ლარი ფაქტიურად 9 400 ლარი.

24. ფიზიკური პირის მომსახურება გეგმით - 17 000 ლარი ფაქტიურად 16 558 ლარი.

25. ელექტრონული საქმის წარმოება გეგმით 550 ლარი ფაქტიურად 550 ლარი

26. ფინანსთა ასოციაციის საწევრო გეგმით - 4 000 ლარი ფაქტიურად 4 000 ლარი.

27. სხვადასხვა მასალების შეძენა გეგმით - 4 000 ლარი ფაქტიურად 3 561 ლარი.

28. სპორტული მოედნის მოვლა მომსახურების შეძენა გეგმით - 252 332 ლარი ფაქტიურად 252 332 ლარი

29. ტრაქტორები,კომბაინები და სხვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა გეგმით 65 010 ლარი ფაქტიურა 63 957 ლარი.

30. მაცივარი გეგმით 1000 ლარი ფაქტიურად 649 ლარი.

31. კომპიუტერი გეგმით - 5 490 ლარი ფაქტიურად 5 490 ლარი.

სტადიონის გაქირავებით მიღებულმა თანხამ (იჯარამ) შეადგინა 8 750 ლარი.

ჩვენს მიერ უზრუნველყოფილია საფეხბურთო კლუბი „ სამგურალის“ ძირითადი გუნდის, დუბლების შემადგენლობისა და სხვადასხვა ასაკობრივი გუნდებისათვის ეროვნული ჩემპიონატების შესაბამის ლიგაში ჩემპიონატის თამაშებისა და საწვრთნელი ვარჯიშების ჩატარების შეუზღუდავად უზრუნველყოფა.

კერძოდ, 2025 წლის 8 იანვრიდან განაახლა საწვრთნელი ვარჯიშები ძირითადი გუნდმა.

3 თებერვლიდან 16 თებერვლამდე გუნდი ზამთრის საწვრთნელ-სავარჯიშო შეკრებაზე იმყოფებოდა თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ ანტალიაში. „სამგურალმა“ საქართველოში დაბრუნების შემდეგ, მოსამზადებელი ვარჯიშები გაანახლა საფეხბურთო ცენტრში. დიდთოვლობის გამო გუნდი თებერვლის თვეში ვარჯიშობდა ხელოვნურსაფარიან სათადარიგო სტადიონზე. ცენტრალურ სტადიონზე სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო გუნდი ეროვნული ჩემპიონატის თამაშებს და ვარჯიშებს ძირითადად ატარებდა საფეხბურთო ცენტრში. ცენტრალურ სტადიონზე ჩაატარა 2 საშინაო თამაში. ეროვნული ჩემპიონატი დაიწყო 2025 წლის 1 მარტს და გუნდს ჩატარებული აქვს 18 საშინაო თამაში. საფეხბურთო ცენტრში ჩაატარა 16 ეროვნული ჩემპიონატის საშინაო თამაში, ხოლო ცენტრალურ სტადიონზე ჩაატარა 2 საშინაო თამაში და ერთი დავით ყიფიანის სახელობის თასის გათამაშების 1/8 ფინალური თამაში.

2025 წლის 1 თებერვლიდან განაახლა ვარჯიშები სათადარიგო სამგურალი 2-ის გუნდმა და ასაკობრივი ლიგის გუნდებმა. სამგურალი 2 და 19, 17 წლამდელთა გუნდი, 15, 14, 13, 12, 11, 10 და 9 წლამდელთა ასაკობრივი გუნდები ვარჯიშებობენ ხელოვნურსაფარიან სათადარიგო სტადიონზე. ამავე მოედანზე ჩაატარებენ გუნდები ლიგა 4-ისა და ასაკობრივი ლიგის ჩემპიონატის საშინაო მატჩებს. ლიგა 4-ის ჩემპიონატი ჩემპიონატი დაიწყო აპრილის თვეში. სამგურალი 2-მა ჩაატარა 16 საშინაო მატჩი.

ასაკობრივი ლიგების ჩემპიონატი დაიწყო მარტის თვეში.

19 წლამდელთა გუნდმა ჩაატარა 10 საშინაო მატჩი.

17 წლამდელთა გუნდმა ჩაატარა 10 საშინაო მატჩი.

15 წლამდელთა გუნდმა ჩაატარა 9 საშინაო მატჩი.

14 წლამდელთა გუნდმა (ორი გუნდი) ჩაატარა 22 საშინაო მატჩი.

13 წლამდელთა გუნდმა ჩაატარა 10 საშინაო მატჩი.

12 წლამდელთა გუნდმა ჩაატარა 11 საშინაო მატჩი.

11 წლამდელთა გუნდმა ჩაატარა 13 საშინაო მატჩი.

10 წლამდელთა გუნდმა ჩაატარა 9 საშინაო მატჩი.

პარალელურად ხელოვნურსაფარიან სათადარიგო სტადიონზე ვარჯიშებს ატარებს სამოყვარულო გუნდი. ასევე პერიოდულად ვეხმარებით და სათადარიგო სტადიონზე ვარჯიშობს რაგბის გუნდი.

არენას სარგებლობაშია და ვუვლით ცენტრალურ სტადიონს, სადაც საშინაო თამაშებს ატარებს სამგურალის ძირითადი გუნდი, საფეხბურთო ცენტრს, სადაც ასევე თამაშობს და ვარჯიშობს სამგურალის ძირითადი გუნდი. ასევე ტარდება სხვადასხვა ღონისძიებები, ხელოვნურსაფარიან სათადარიგო სტადიონს, სადაც თამაშებს და ვარჯიშებს ატარებს სამგურალი 2-ის და ასაკობრივი გუნდები, ასევე მინი ბუნებრივსაფარიანი სტადიონი, სადაც ვარჯიშობს ასევე 10 და 9 წლამდელთა გუნდები.

ოფისისთვის შევიძინეთ ორი პერსონალური კომპიუტერი, პრინტერი, ტელევიზორი, მაცივარი. ტენდერის წესით შევიძინეთ სტადიონის ბუნებრივსაფარიანი მოედნისთვის ბალახის საკრეჭი მანქანა.

ცენტრალურ სტადიონზე მთლიან შიდა პეტრიმეტრზე დამონტაჟდა ღობე.

დამონტაჟდა და გადაიხურა საფეხბურთო ცენტრის სტადიონზე არსებული ტექნიკის სადგომი.

ცენტრალურ ბუნებრივსაფარიან მოედანზე შეითესა 400 კგ თესლი.

თებერვლის ბოლოს დიდთოვლობის გამო ხელოვნუსაფარიან სათადარიგო მოედანზე მიმდინარეობდა თოვლის აღება, რომ სამგურალის გუნდებს ხელი არ შეშლოდათ ვარჯიშების ჩატარებაში.

ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით ცენტრალურ საფეხბურთო სტადიონზე დამონტაჟდა ქალაქის მუნიციპალიტეტისა და სამგურალის კლუბის ლოგოები და ბურთი.

საფეხბურთო ცენტრში მოედანზე მთელ სიგრძეზე დამონტაჟდა დამცავი ჯებირები ბადით.

25 მაისიდან საფეხბურთო ცენტრში დაიწყო მინდვრის რენოვაციის სამუშაოები (მინდვრის საფარის მომზადება ივლისიდან ოფიციალური მატჩებისთვის. , რომელიც მიმდინარეობს ჩვენი დახმარებით- საწვავი ტექნიკისთვის, 45 ტონა საჩხერის გარეცხილი ქვიშა შეტანილი იქნს ჩვენი სახსრებით და ასევე სამუშაოებს ასრულებდა ჩვენი მუშები.

საფეხბურთო ცენტრში ტექნიკის შესანახად გადაიხურა 35 კვ/მეტრი ლითონის კონსტრუქციით.

საფეხბურეთო ცენტრში გაკეთდა 140 კვ/მეტრი გულშემატკივრებისგან გამყოფი დამცავი ბადე.

სფფ-ს დაფინანსებით საფეხბურთო ბაზაზე განხორციელდა ინფრასტრუქტურული ობიექტების შეღებვის სამუშაოები.

ცენტრალურ სტადიონზე განხორციელდა გარე ბეტონის კონსტრუქციების შეღებვა.

ცენტრალური მოედნის მინდვრის საფარზე ჩატარდა მინდვრის საფარის აღდგენის სამუშაოები - დაჩხვლეტა და სილის შეტანა.

პატარა ბუნებრივსაფარიან სათადარიგო მოედანზე გამოიცვალა კარების დამცავი გვერდითი ბადე, სიმაღლე 6 მეტრი, სიგრძე 35 მეტრი.

საფეხბურთო ცენტრის შიდა პერიმეტრი გულშემატკივრის ზონიდან გამოიყო ღობით. შიდა პერიმეტრზე დამონტაჟდა კომენტატორის სივრცე.

სტადიონის ირგვლივ გასუფთავდა და შეიღება ხეები.

არენას თანამშრომლები მათ სარგებლობაში არსებული სტადიონების მოვლის მიზნით ყოველდღიურ უწყვეტ რეჟიმში მუშაობენ - სტადიონების მთელ პერიმეტრზე მოვლის მიზნით ყოველდღიურად მიმდინარეობს მუშაობა - სათამაშო მოედნის სისტემატურად პარსვა (ყოველ მე-2, მე-3 დღეს), შხამქიმიკატების შეტანა, სილის შეტანა, დაჩხვლეტა, მინდვრის მორწყვები ყოველ მეორე-მესამე დღეს აგრონომის მითითების შესაბამისად.

სისტემატურად მიმდინარეობს სტადიონების მიმდებარე გარე პერიმეტრის მოწყობა-გაწმენდა ცელით და სხვა ტექნიკით, მოსუფთავება.

ჩვენის მხრიდან იგეგმება და ხორციელდება ყველა სამუშაო, რაც საჭიროა სამგურალის ძირითადი გუნდის, დუბლების შემადგენლობისა და სხვადასხვა ასაკობრივი გუნდებისათვის ეროვნული ჩემპიონატების შესაბამის ლიგაში ჩემპიონატის თამაშებისა და ვარჯიშების ჩატარების შეუზღუდავად უზრუნველსაყოფად.